№2151 2013 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

ზამთრის პერიოდში მოსახლეობის გადაადგილების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში მოსახლეობის მიერ თავიანთ უფლებათა შეუფერხებლად განხორციელებისა და მათი გადაადგილების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაევალოთ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებს, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (მათი დაფინანსების წყაროების მიუხედავად), ასევე სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სხვა დაწესებულებებსა და ორგანოებს ეთხოვოთ, უზრუნველყონ მათი ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების თოვლისგან გასუფთავების ღონისძიებების განხორციელება საკუთარი საშუალებებითა და სახსრებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**